სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 694
დამატების № 122
შაბათი, 8 სექტემბერი 1912 წ.



წმინდა ოჯახი. ნახატი ბრიგისა.

„მუდამ ულამაზესი სტუმარი"

(უაკ ლამურ) დრამა 1 მოქმ. ენნიკისა.

გადმოკეთებული ემილ ზოლას მოთხრობიდან.

დასასრული *)

ბერ. ჰხედავ მეგობარო განგება ხელს როგორ გიწყობს?

ლამ. არა, არც იმდენად! (გადახედავს ფელის მოწყენით)

ფელ. მე ეგ სრულებით არ ვიცოდი და არც დამნაშავე ვარ.

ლამ. მაშ იცოდე, რომ მაღაროებში მუშაობით ვიკლავდი თავსა და ვცდილობდი მომეგროვებინა ცოტაოდენი სიმდიდრე, ყოველთვის შენზე ვფიქრობდი, მხოლოდ შენზე. მინდოდა მეშოვნა ოქრო, რაც შეიძლება ბევრი ოქრო, რომ ჩემი ფელისი გამემდიდრებინა და გამებედნიერებინა. იყო კიდეც წუთი, როდესაც ეს მიუწდომელი ოცნება მისაწდომი ხდებოდა. შევიძინე 40,000 ფრანკი, თუ რა ტანჯვა-წვალებით შევიძინე ეს სხვა კითხვაა, მაგრამ მაინც შევიძინე. მე მქონდა აი აქ შენახული ძველ ხელსახოცში; ოჰ, მქონდა შენახული მხოლოდ დიდი ხნით კი არა, მე მომპარეს და ჩემი საქმე უკანუკან წავიდა. საფრანგეთში, რა თქმა უნდა, ვერ გამოვჩნდებოდი და აი დავიწყე ხელ-ახლად ტანტალი-თრევა. ერთხანად ვმუშაობდი ბელგიაში ქვა-ნახშირის მაღაროებში, შემდეგ მონსში ვთხრიდი მიწას, როგორც თხუნელა. საუბედუროდ მხოლოდ იმდენს ვშოულობდი, რომ შიმშილით არ მომკვდარვიყავი. შენ კი არა მწერდი არც ერთ სიტყვას და მეც ვფიქ-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 121.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

ს. **წესი.** ბარაკონის ეკლესია, როსტომ ერისთავის აშენებული მეთვრამეტე საუკუნეში.

საუზმე ჭომაში. (ქუთაისის განაპირას)

ს. **ალპანა.** აჭარის ხ დთან მდინარე ლაჯანურაში ნაღმის აფეთქება სადღესასწაულო შეხვედრისას.

მექვენასთან შეხვედრა.

გამოსვლა 5-ოე

იგინივე პოლინა და ფრანსუაზა.

პოლინა. (კისერზე მოეხვევა ფელისს) აი, დედა მეც... ფრანსუაზამ მითხრა, დროა შინისაკენ წავიდეთ და წამოვედით, მე კი მინდოდა კიდევ მეთამაშნა ბაღში.

ფელ. (აღელვებული) სრულებით არ არის დრო, საიდან მოიგონე ფრანსუაზა ასე ადრე დაბრუნება? წადით, გაიყვანეთ ბავშვი ასეირნეთ კიდევ ცოტა ხანს.

ფრანსუაზა. ქალბატონო თქვენ თვითონ...

ფელ. გაიყვანეთ ბავშვი, როდესაც თქვენ გეუბნებით. (ფრანსუაზა და პოლინა გადიან).

ბერრიუ. (ლამურს ნახევარის ხმით) ნახე? პატარა ქალბატონი სანიარ? ეჰ! ჩემო ძმაო კარგად გაიხუმრეს.

ლამური. (გაბრაზებული მაგიდას ხელს დაჰკრავს) ჩემთან ხუმრობა არ გამოადგებათ. (ფელისს მკვახედ) მე მოველ შენთან, რომ თან წაგიყვანო.

ფელ. (დაფანტული) ღვთის გულისათვის დაწყნარდი. დაჯექ და

ს. წესი. ბარაკონის ეკლესია, როსტომ ერისთავის აშენებული მეთვრამეტე საუკუნეში.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

რობდი, რომ მკვდარი იყავ; მაგრამ აი ერთ საღამო ჟამს ვზივარ სამიკიტნოში და გავიგე რომ ყველა კომუნარებს ამნისტიის ძალით თავისუფლება მოენიჭათო. ვერ აგიწერ თუ რა მომივიდა მის გაგონებაზე, რაღაც ციებამ ამიტანა. სულ იმასა ვფიქრობდი მალე მოვსულიპარიზში. ისავ ფიქრი რომ შენ მკვდარი ხარ თავის-თავად გაიფანტა, წარმომიდგა რომ შენ ცოცხალი ხარ და ისევ გიყვარვარ, როგორც წინად, რომ ჩვენი გოგონა ლუიზა გაზრდილა, გალამაზებულა, თქვენ ორივენი ქუჩაში დგეხართ და მიცდით მოუთმენლად, რომ მაგიდაზე გადაფარებულია სუფთა სუფრა, როგორც უქმე დღით და აწყვია ვაზები... ვარდები (თვალები ცრემლით აევსება) და აი... აი იმის მაგივრად რა ვიპოვნე.

ფელ. ოჰ! რომ იცოდე როგორ მენანები ჟაკ, რომ იცოდე როგორ ვწუხვარ, რომ ასე მოხდა.

ლამ. გენანები?.. ძალიან მოხარული ვარ. მე მგონია ცოდვა არ იქნება დაინანო კაცი, რომელსაც ყველანი ერიდებიან როგორც ჭირიანს. შენ იცი ჩემი მდგომარეობა. ყოველის კომუნარისა ეს ნამდვილი წყევლაა. არსად სამუშაო, არც ერთი ლუკმა-პური და არც თანაგრძნობის სიტყვა. შემთხვევით რომ ბერრიუს არ შევხვედროდი, იმედ გადაწყვეტილი, თავს დავიხრჩობდი.

ბერ. ეხლა მე მგონი შეიძლება ჯერ-ჯეროობით თავი აღარ დაიხრჩო.

ლამ. მე მგონი შეიძლება (თელისის) სად არის ჩემი ქალი?

ფელ. შენი ქალი?

ლამ. ჰო! ჩვენი ქალი... ლუიზა! მე გეკითხები სად არის მეთქი?

ფელ. (თავს დახრის) ის მოკვდა...

ლამ. (სასოწარკვეთილი) მოკვდა!?! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... ამდენი მწუხარება ყველა ერთ დღეს!

მოვილაპარაკოთ როგორც რიგია, რა საჭიროა ასეთი აურზაური? შენ ამბობ იმიტომ მოხველ, რომ თან წამიყვანო?

ლამ. მაშ, რისთვის? ეხლავე უნდა გამომყვე, ეხლავე!

ბერ. ეგრე არ არის ბერრიუ? ხომ უნდა გამომყვეს? მე ხომ ქმარი ვარ, კანონიერი ქმარი? ოჰ! მე ძალიან კარგად ვიცი ჩემი უფლება... ხომ ეგრეა ბერრიუ? ეს ხომ ჩემი უფლებაა, კმარა ნუ იჭმუხნები, მოემზადე და წავიდეთ. (ფელისი ჩუმად არი) რაო, არ გინდა? ჰოო ეხლა კი მესმის: შენთვის ეს საშინელებაა, მაგრამ არც თუ გასაკვირველია ამისთანა კეთილ ცხოვრებასთან ისევ წინანდელი სიღარიბე, თავი როგორ უნდა დაანებო შენს მდგომარეობას, შენს სიმდიდრეს, ამნაირ მშვენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომღერალი ვანო სარაჯიშვილი,
რომელიც წრევანდელ სეზონისთვის სახაზინო თეატრის საოპერო დასში ვ. პ. ფალიაშვილმა მიიწვია.

ერ ავეჯს, შენის განებივრებულის ბავშვით, ოო! არა მგონია ჩემი გოგონა ასეთ ნებიერ ცხოვრებას მოსწრებოდეს, როგორც ახლად მოვლინებული ქალბატონი სანიარ. ჯერ მოიშორა ქალი, ეხლა ჰნებავს მოიშოროს ქმარიც? კარგი ცოლი მყევხარ, თქმა არ უნდა. მაგრამ ეს არც ასე ადვილი გახლავს! მე შენ წაგიყვან, დიაღ წაგიყვან, და შენც გამომყვები, გესმის გამომყვები? არა—და შევატყობინებ პოლიციას და ძალით წაგათრევ აქედან.

ფელისი. გამიგონე, ჟაკ!..

ლამურ. არაფრის გაგონება არა მსურს, ეს ჩემი უფლებაა, ხომ მართალია, ბერრიუ? ხომ ჩემი უფლებაა.

ბერ. (ლამურს მნიშვნელობით) რასაკვირველია ეგ შეგიძლიან, მაგრამ რა საჭიროა აღელვება. (ფელისის) თუმცა კი მაგის მდგომარეობაში არ შეიძლება კაცი დამშვიდებული იყოს. იცით, კაცი უზმოზე ყოველთვის უფრო აღელვებულია და საწყალ ჟაკს კი დილიდან პირში ნაწილი არ ჩაუდვია.

ფელ. ახ! ღმერთო ჩემო, აბა, რა ვიცოდი, ნუ ჯავრობ ჩემზე ჟაკ! (პაუზა) მე არა ვარ დამნაშავე, რომ ეს ასე მოხდა... ღმერთმა იცის არ მინდოდა შენი უბედურება. (პაუზა) შენ რომ ჩემგან მიგეღო... რამოდენიმე დახმარება... (მოძრაობა ლამურის).

ბერ. (მარდათ) რასაკვირველია დათანხმდება. (ლამურს) გამიგონე, ჟაკ! ეს კი დიდი სისულელე იქნება, რომ აქედან ცარიელ ჯიბით და ცარიელ მუცლით გავიდეთ. ამ სახლში ყოველისფერი საკმაოდ მოიპოვება. რა საჭიროა ცერემონია?

ლამ. მე სხვისი არაფერი არ მინდა. (მიდის ფელისთან და გადაჭრით) მე მინდა ის, რაც მე მეკუთვნის. მე შენ მინდიხარ და შენ გამომყვები.

ფელ. (უკან დაიწევს) ჟაკ, გთხოვ...

ლამ. (ყურს არ უგდებს) რად მინდა შენი თხოვნა. ნუ თუ ცოტა დამცირება ავიტანე? ხმა, კრინტი არ დასძრა, თორემ აქაურობას სულ მივანგრ-მოვანგრევ? სიმართლე სთქვი: ლუიზა ხომ შენ განგებ მოჰკალი სიმშილით. გამომიტყდი, ხომ განძრახ მოჰკალი. გამოტყდი, ხომ მართალია?!..

ფელ. (არ ეწინააღმდეგება) ახ! ჟაკ... ჟაკ!

ბერ. (ლამურს) თავი დაანებე თორემ მაგით საქმეს მთლად წაახდენ.

ლამ. (ბერრიუს) თავი დამანებე. (ფელის) წამომყვები, თუ არა?

ფელ. არ შემიძლიან... არ შემიძლიან...

ლამ. არ შეგიძლიან?!.. შენ არ შეგიძლიან! (აიღებს სკამს და მოუღერებს).

ბერ. (სკამს წართმევს) კარგია... კმარა... წავიდეთ აქედან.

ლამ. კარგი, წავიდეთ, თორემ არ ვიცი რა მოხდება.

ბერ. მაშ, წავიდეთ, სხვა რაღა გინდა?

ლამ. კარგი, წავიდეთ... (ფელის) შენ ნუ გგონია რომ ასე ადვილად გადამრჩი, დამაცადეთ, კიდევ მოვალ და გიჩვენებთ ვინც არის ჟაკ ლამური. (გადის მარჯვნივ).

გამოსვლა 7-დე

სანიარ საჩქაროდ გამოდის.

სანიარ. რა ხმაურობაა, ვინ იყვნენ აქედან რომ გავიდნენ? (მიმავლებს უყურებს) მე გეკითხები, ვინ იყვნენ მეთქი?

ფელისი. (დაფანტული) ეს... ეს ბერრიუ მუშა...

სანიარ. პირველად მესმის ეს სახელი. კარგი ის მეორე? (კასის ფორტოჩკაში აკაკუნებენ. ფელისი მიდის).

ფელისი. რამდენს მიბძანებთ ავიღოთ?

ხმა. 7 ფრანკი და 50 სანტიმი. (აძლევს ხურდას, მოხურავს კასის ფანჯარას და გამობრუნდება გაფითრებული და აღელვებული).

სანიარ. მე გკითხავ, ვინ იყო ის მეორე? რას გაჩუმებულხარ? მიპასუხე.

ფელ. ეგ... ის იყო.

სან. ვინ ის?

ფელ. ჩემი ქმარი.

სან. შენი ქმარი?

ფელ. ჰო ჟაკ ლამუ დაბრუნებულა.

სან. ჟაკ ლამურ, რომელიც შენ მკვდარი გეგონა?

ფელ. (ცრემლებით) სწორედ ის, დაბრუნებულა და ჩემი წაყვანაც უნდა.

სან. წაგიყვანოს შენ აქედან, წაამართოს შენი თავი? ამის შემდეგ ნამდვილი გიჟია ის შენი ჟაკ ლამური.

ფელ. არა გიჟი კი არ არის... ის მე ძალას მატანს, მე ვუთხარი ეს არაფერს ემსგავსება მეთქი, მაგრამ იმას არაფრის გაგონება არ უნდა, ყვირის და გვემუქრება, ყველას დაგხოცავთო.

სან. მაგის მუქარა საშიში არ არის, საშიში უფრო ის არის, რომ შენ ეგრე აღელვებული ხარ. დაბრუნებულხარ? მერე რა არის სამაგისო, მე მგონია ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე შენ თავს დაუთმობ. ძალიან კარგად მესმის, რომ ეს მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ არ არის მდგომარეობა საიდანაც არ შეიძლებოდეს თავის დახწევა. და, დარწმუნებული ვარ, დავახწევთ კიდეც. მე თვითონ მოველაპარაკები ლამურს და ვნახავთ ვინ გაიმარჯვებს.



ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების **სახალხო სახლი**, იხილეთ „სახ. გაზ." № № 692 693.

ფელ. მაგ ლაპარაკს მოჰყვება ჩხუბი და მაშინ... რა დამემართება... რა დამემართება... (მივა იმასთან და ახლოს დაჯდება, ტირის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სან. იმედი მაქვს, რომ ის მე არ შემჭამს.

ფელ. (განაგრძობს ტირილს) ოჰ! ღმერთო, ჩემო რა უბედური ვარ...

სან. კარგი, გეყოფა ფელისი, თავს რაზე იკლავ ღირს კი მაგისთვის შეწუხება... ხო, კარგი... კარგი. (შემოდის პოლინა შეხედავს მამას. მამის ნიშანზე მიდის საჩქაროდ დედასთან).

გამოსვლა 8-რე

იგინივე და პოლინა.

პოლინა. დედა, რადა ტირი? ჰა, ვინ გაწყენინა?

ფელისი. არავინ, არავინ ჩემო მარგალიტო.

პოლინა. თავი დაანებე ტირილს, თავი დაანებე... გინდა მე ცრემლებს მოგწმენდ? შეიძლებაა? (უწმენდავს ხელსახოცით ცრემლებს).

სანიარ. (ცოლს) ეხლა გაიარა?

პოლინა. დედა, ღმერთმანი თუ კიდევ იტირებ, მეც ტირილს დავიწყებ.

ფელ. ეხლა გაიარა. (კოცნის ქალს. შემოდიან ლამური და ბერრიუ. დაინახავს ბერრიუს) კიდევ ის! (ლამური ფელისს მიუახლოვდება სანიარი საჩქაროდ შუაში ჩადგება. ფელისი მოიმარჯვებს დროს, პოლინას მივარდება და საჩქაროდ კაალანებს მარცხნივ კარებისაკენ. სანიარი და ლამური ერთმანეთს უყურებენ. (პაუზა).

გამოსვლა 9-რე

სანიარ, ლამურ, ბერრიუ.

სანიარ. თქვენ ჟაკ ლამური ხართ?

ლამურ. დიახ, გახლავარ თქვენი მონა-მორჩილი.

სანიარ. დიდად სასიამოვნოა, თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა.

ლამური. მე სრულებით არ მსურს. მე მოველი ფელისისთან, საქმე იმასთან მაქვს.

სან. სულ ერთია, მე მინდა თქვენთან ლაპარაკი და არ მესმის, რად მეუბნებით უარს? მე მგონია ჩვენ ერთი-ერთმანეთისათვის ავი არა ვიქნიარა.

ლამ. (ყრუდ) უფრო კარგი... მაშასადამე მე თქვენთან არავითარი საქმე არა მქონია, მე მსურს მოველაპარაკო ფელისის.

სან. (თავდაჭერილი) თქვენ შეიძლება გსურდეთ, მაგრამ მე კი მაგის ნებას არ მოგცემთ. რადგანაც ჩემთვის ძვირფასია ფელისის ჯანმრთელობა. ჩვენ შეგვიძლიან უიმისოდაც მოვილაპარაკოთ, და დარწმუნებულიცა ვარ ყველაფერი რიგზე დაბოლოვდება, თუ თქვენ იქნებით კეთილ გონიერი, და ცოტათი მაინც გიყვართ ის.

ლამ. (გაბრაზებით) იქით დამეკარგეთ თქვენის კეთილ გონიერებით, მე მაგისათვის არ მცალიან.

ბერ. (შუაში ჩადგება) ლამურ! კმარა, შენ ხომ დამპირდი...

ლამ. არაფერსაც არ დაგპირებივარ, მხდალო, მშიშარავ!

სან. გამიგონე, რა საჭიროა სუ ყველა ეს? აბა, შემომხედა მე როგორ ვიქცევი! თუ ჩვენ ორივენი გავცხარდებით ერთმანეთისას ვერაფერს ვერ გავიგებთ. (პაუზა) მაგრამ მაინცდა-მაინც თუ ძალას მატანთ, შემიძლიან დაუძახო ფელისს, მხოლოდ ერთის პირობით თუ დამპირდებით, რომ თავ დაჭერილი იქნებით, რადგანაც ფელისი ეხლა ძალიან აღელვებულია და არა მსურს, რომ ამ ლაპარაკში უარესი დაემართოს, ეს კი, მგონია, თქვენთვისაც ისეთივე დასანანი იქნება, როგორც ჩემთვის.

ლამ. (შეწუხებით) მეც ეგრე მგონია, თორემ მოგკლავდით, არა თუ თქვენთან ლაპარაკი დამეწყო.

სან. ძალიან კარგი, ეხლავე დაუძახებ და ცალკე მოელაპარაკეთ, რასაკვირველია ეს თქვენი უფლებაა. (კარებიდან ეძახის) ფელისი, ფელისი. (სიჩუმე) ფელისი მოდი, მოდი მეთქი ნუ გეშინიან, ამან სიტყვა მომცა რომ წყნარად ილაპარაკებს. (შემოდის ფელისი ნამტირალევი).

გამოსვლა 10-თე

(სანიარ მიდის ფანჯრისკენ და ისე აჩვენებს თითქოს ყურს არ უგდებსო).

ლამ. გამიგონე ფელისი, შენ ხომ იცი, რომ მე არ ვარ რომელიმე ბოროტ-მომქმედი, შენ კარგად იცი... და თუ მე ასეთი ბოროტი გავხდი, მხოლოდ დღეიდან, დიახ მართალია მე თქვენი მოკვლა მინდოდა, მაგრამ მოვისაზრე, რომ ამითი ვერაფერს მივაღწევდი, სასამართლოც ბევრს ვერაფერს მიშველიდა. ამ საქმეში მხოლოდ შენ შეგიძლიან იყო მსაჯული: როგორც შენ გადასწყვეტ, ჩვენც ისე მოვიქცევით. ჩვენ ორში რომელსაც ამოირჩევ ის იქნება მართალი. აბა, მიპასუხე... რომელს ირჩევ?

ფელ. (ძლივს ლაპარაკობს). შენ მეკითხები რომელს?

ლამ. ჰო, რომელს—იმას თუ მე? (ფელისი ჩუმად არის) რაღა თქმა უნდა იმას, მე ეგრეც ვიცოდი, წინდაწინვე ამას ვგრძნობდი. არ გეგონოს, რომ მე შენზედა ვჯავრობ. ძალიან კარგად ვიცი რომ სხვა მხრივ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მართლაც და რა ვარ მე? უბედური, დაკარგული მათხოვარა. მე რა სასიყვარულო ვარ, როდესაც მაგან გაგამდიდრა, გაგაბედნიერა... და მერე, ქალიცა გყავთ... (ფელისი ტირის) რათა სტირით? თითქოს გაყვედრიდე! რა უყოთ, ასე მოხდა!.. ეხლა შეგიძლიან მშვიდად დაიძინო, გაძლევ სიტყვას რომ არას დროს აღარ შეგაწუხებ, ველარც მნახავ და ვერც ჩემს შესახებ გაიგონებ რამეს. მშვიდობით... (მიდის გასასვლელ კარებისაკენ, სანიარი შეაყენებს).

სან. თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, ჟაკ ლამურ, კეთილშობილი. ძალიან მეწყინება თუ ჩვენთან არ ისადილებთ და ისე წახვალთ, როგორც უცხო.

ლამ. არა, დამითხოვეთ.

ბერ. ნუ თუ უარს ამბობ?

სან. თუ თქვენ ჩვენთან სადილის ჭამაზე უარს ამბობთ, იქნება დათანხმდეთ ერთ ბოთლ ღვინოზე. თუ ამაზედაც უარს იტყვით, ძალიან მაწყენინებთ. (ფელისი უყურებს ლამურს მუდარის სახით) ჰა, რას იტყვით, დავლიოთ?

ლამ. (დასძლევს თავს) კარგი, დავლიოთ.

ბერ. (მხიარულად) აი, ეს მესმის?..

სან. (გახარებული) ფელისი, მოიტანე მარდათ ოთხი ჭიქა, ყველამ უნდა დავლიოთ. (ლამურს) რომ იცოდეთ რა მადლობელი ვარ, რომ უარს არ ამბობთ. ვერ წარმოიდგენთ რა მოხარული ვარ, რომ გხედავთ გულწრფელსა და პატიოსან კაცს... მოხარული ვიქნები თუ მივაჯახებთ ჭიქებს.

ბერ. მეც ძრიელ მოხარული ვარ. (მხარზე ხელს დაარტყავს ლამურს) შენც გამხიარულდი, გეყოფა შუბლის შეკვრა. (ლამური ნაღვლიანად იღიმება. ფელისი ღვინოს ასხავს. პატარა პაუზაა).

სან. იცოცხლეთ! (ჭიქებს მიახლიან).

ლამ. თქვენც იცოცხლეთ. (ფელისის ჭიქას არტყავს, ჩუმად სმენ).

ბერ. აი, ღვინოც ამას ჰქვიან!

(იგინივე და პოლინა კარებიდან).

გამოსვლა 11-ტე

პოლინა. (კარებიდან) დედა! დედა!

ფელისი. მოვდივარ... ეხლავე!

ლამურ. (ჭიქას დასდგავს, ხელს ჩაიქნევს) აბა, მშვიდობით ნუ მომიგონებთ ავად!..

(ვადის თან მიჰყვება ბერრიუ).

ფ ა რ დ ა.

ნ. გოცირიძე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.